№ 150 27 მკათათვე, ხუთშაბათი 1866—1878 27 მკათათვე, ხუთშაბათი № 150

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲞᲘᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲛᲝᲡᲢᲐᲠᲘ, 25 Ივლისს. Ზუშინ სალამოს ავსტრიის ჯარებმა დაუბრკოლებლივ დაიჭირეს ქალაქი მოსტარი.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 25 Ივლისს. აქ მოვიდა ღღეს პეტერბურღიდამ გრაფ შუვალოვი.

მარგარიტისა და პარამიტრიის მაზრები თესსალიაში ავაზაკებს მიუტევეს; ბერძნის მღვდლებს დაურიდებელად ხოცვენ ქუჩებში. Ოსმალოს ჩინოვნიკები იმ ავაზაკებსა და ხალხის მკვლელებს ეხმარებიან.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 26 Ივლისს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	25
მეორესი — — — —	96	50
მესამესი — — — —	96	25
მეოთხესი — — — —	95	62
აღმოსავლეთის — —	95	50
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	7	85
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234	— „
მეორე სესხის — — —	234	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25—	„ პენსი
ამსტერდამი— —	127—	„ ცენტი
ბერლინი— — —	215—50	პფენიგი
პარიკი — — —	264—50	სანტიმი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲖᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ღამით ᲑᲐᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ პროსპექტზე გატეხეს ერთი ოქრომჭედლის დუქანი და გამოიტანეს იქიდამ სამასი მანეთის სხვა-და-სხვა ნივთები. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ამ ავაზაკობას აბრალებენ ერთს პოლიციის აფიცერს და იმის ორს დესიატნიკსაო; თვითონ აფიცერი ამ დღეების კარებზე უნახავთ ბევრ ნაცნობებს, გაჩერებული იყო, კარებს მიწოლოდაო და ამ დროს იმის დესიატნიკები თვითონ დუქანში იყვნენ და გამოჰქონდათ, რაც ხელში ხვდებოდათო.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ის პოლიციის ჩინოვნიკი და იმის ორი დესიატნიკი ყველანი ᲖᲣᲨᲘᲜ დილას დაუჭირავთ.

*** ᲔᲠᲗᲡ ვილაცას მოურეკნია ამ თვის 24-ს ქალაქში, აეჭალის ქუჩაზე, ბაკში, ჭირიანი საქონელი. ᲔᲡ გარემოება იმწამსვე სანიტარულ კომისიისთვის უცნობებიათ; ამას გაუკვანია იქ ერთი თავის მოხელე და დოქტორი და აღმოჩენილა, რომ საქონელი ყოფილა 25-მდინ, რომელთაგან რამდენიმე მომკვდარა და დანარჩენი თითქმის ყველა მართლა საქონლის ჭირით ყოფილა ავათ. საქონლის პატრონი კი სადღაც გაქცეულა და დამალულა. სანიტარულ კომისიამ მიიღო ჯეროვანი სახსარი, რომ ამ საქონლისაგან სხვებს არ გადაედვას ჭირი.

ᲨᲘᲛᲘᲡᲗᲐᲪ შარშანდელმა ჭირმა თითქმის მთელი ჩვენი ქვეყნის საქონლის რიცხვი გაანახევრა და თუ ახლავე არ მოუფრთხილდით და თვითონ ხალხმა არ იხმარა ღონის-ძიება ამ ჭირის მოსასპობლად, უეჭველია, ცუდ დროებას უნდა მოველოდეთ.

*** ᲛᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ იქაურ ქალაქის რჩევას გარდაუწყვეტია ხელახლად გაკეთება ესრედ-წოდებულის „ზუბოვის ხიდისა“, რომელიც რიონზედ იყო და ქალაქის ქვემო და ზემო (ბორის) უბნებს აერთებდა. ᲐᲛ ხიდის ასაშენებლად ქალაქს, ინჟინერის გამოანგარიშებით, რვა ათასს მანეთზე მეტი არ დაუჯდებაო, რომელიც ზოგი მცხოვრებლებისაგან ხელის-მოწერით და ზოგი თვითონ ქალაქის ხაზინიდამ უნდა დაიხარჯოს.

*** ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ სოფ. რადიონოვკასთან უნახავთ ორი ხანჯლით მოკლული კაცი, რომელთაგან ერთი სუფთად იყო ჩაცმულიო და მეორე კი უბრალოთ. ᲯᲔᲠ არ იციან—ვინ არიან საბრალო მოკლულებიო. მაგრამ, როგორც ეტყობა, ავაზაკებს არ უნდა მოეკლათ ესენი, რადგან ჯიბეში სხვა-და-სხვა ოქრო-ვერცხლის ნივთები უნახა გამოქეძებელმაო.

*** ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲡ კორრესპონდენტს იმის დასამტკიცებელად—თუ როგორი სიძვირეა ამ ჟამად ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, მოჰყავს მაგალითი, რომ საქონი შეშა აქეთკენ შვიდ-რვა თუმანზე ნაკლებ იშვიათად ისყიდებაო.

*** ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲓᲐᲛ გაზეთს „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ“ იწერებიან, რომ წელს აქეთკენ საზოგადოთ ზემო-ქართლში ძალიან კარგი მოსავალი არის პურისა და სიმინდისაო; მაგრამ მუშის სიძვირისაგან არიან სოფლის მეჯახეები გაჭირებულებიო; უბრალო მუშას დღეში ექვს აბაზ ნაკლებ ვერ შოულობენო. ᲐᲛᲘᲡ მიზეზად ხსენებული გაზეთის კორრესპონდენტს ის გარემოება მოჰყავს, რომ წელს გაერცელებული იყო ხმაო, რომ ვითომც თფილისისაკენ რაღაც შავი ჭირი გაჩნდაო და ამ ხმამ დაფთხო იმერლებიო, რომლის გამოც ვინც აქ იყვნენ, ისინიც გაიქცნენ თავიანთ სახლშიო და ახლებიც აღარ მოდიანო.

*** ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ თქვენ დიდ სიცხეებს უჩივითო და აქეთკენ კი ისეთ ნაირად გრილაო, რომ უ-თბილ ტანისამოსოთ კაცი დღისითაც ვერ გამო-

სულა გარეთო და ღამ-ღამობით კი ბამ-ბიანი საბანი გვახურავსო.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ გრილს ზაფხულს იწერებიან ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛᲐᲪ.

** ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ იწერებიან ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲓᲐᲜ, რომ ამ თვის 24-ს ღამით ვილაცას წაუკიდებია ციცხლი მომრიგებელი სასამართლოს სახლისათვის, რომელშიაც ამის გამო დამწვარა სხვა-დასხვა საწარმოებელი საქმეები, ნივთები და აგრეთვე სახელმწიფო ფული. ᲐᲛ საგნის შესახებ გამოძიება არის დანიშნულიო.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲕᲘᲗᲛᲔᲜ ᲐᲛᲓᲔᲜᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲡ და კაცის დამჩაგვრელს უსამართლო მოქმედებას, რომ ისაც შვრებიან ზოგიერთნი ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ სამაზრო სამართველობის მოსამსახურე პირნი; მაგრამ ახლა მოთმინებიდამ გამოსულმა, ავიღე კალამი და მოვინდომე ქალალდზე დახატვა ყველა ამ მოქმედებისა იმ ჰაზრით, რომ ამ ჩემმა-ნაწერმა მიაღწიოს მთავრობამდინ-მეთქი, რათა მან მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და გაუზრიკოს კბილები ზემო ხსენებულს ჩინოვნიკობას.

ᲐᲛᲘᲡ დასამტკიცებელად უჩვენებ რამოდენსამე თვალით ნანახს ფაქტებს.

1877 წლის ომის დაწყების დროიდამ ვიდრე აქამომდე, ჩვენი საცხედრო უწყება, როგორც ყველამ იცის, საჭიროებდა ბევრნაირს ხალხისაგან შემწეობაში, მაგ. ფულში, საომარ იარაღებში, ცხენებში, ოთხ-ფეხ საქონელში, ურმებში და სხვანი და სხვ. ხალხიც, რასაკვირველია, უკან არ დადგა ამ საჭირო შემწეობიდგან, და ყველამ თანაუგრძნო მთავრობას, არავინ დაზოგა თავი, გარდა თითო-ოროლა ეაჩრებისა, ჩინოვნიკების და თავად-აზნაურობისა, რომელთაც ამ ომიანობის მეოხებით აიესეს გაუმაძღარი და ძირ-გახვრეტილი ჯიბეები.

1) 1877 წ. დეკემბრის 14 დღესა, მაზრის უფროსის ბრძანებით, მოიკრიფა ს. ᲐᲮᲐᲢᲔᲚᲨᲘ 54 ცხენი გასაგზავნად ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ. ᲐᲮ ცხენების მოკრეფა მაზრის უმფროსმა მიანდო ჩაფრეზის უფროსს პრაპორშჩიკს თ. Მ. Ლ—ძეს და ამასთანავე გამოცხადებული ჰქონდათ ᲐᲮᲐᲢᲚᲘᲡ ხალხს, რომ ცხენზე თითო თუმანი უნდა ჩაებარებინათ Ლ—ძესათვის გზაზედ ცხენის საბალახედ. ᲛᲐᲨᲐᲓᲐᲛᲔ Ლ—ძემ 54 ცხენისთვის მიიღო ᲐᲮᲐᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ 540 მ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ამისა Ლ—ძე დაადგა შეკრეფილის ცხენებით ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲡᲐ. **

ᲗᲣᲛᲪᲐ, რასაკვირველია, ცხენებისათვის საბალახე ფული ჩაბარებული ჰქონდა და ამ ფულით უნდა ესაზღვებინა გზაში ცხენები, მაგრამ რადგან წამყვანელთ გლეხებს საბალახე ფული არ ეძლეოდათ, სადაც ბალახი მოეწონებოდათ, იქ ისვენებდნენ და ცხენებს ბალახს აძოვებდნენ, რომლისთვისაც ბევრი ხათაბალა გადახდათ მინდორის პატრონებისაგან. ᲐᲮ ხათაბალით და დავიდარაბით როგორც იყო მიახწიეს დანიშნულს ადგილს და ჩაბარეს ვისთანაც ჯერ იყო წაყვანილი ცხენები.

ᲠᲐ ᲘᲥᲜᲐ ის ფული, რომელიც Ლ—ძემ ჩაიბარა ᲐᲮᲐᲢᲚᲘᲡ საზოგადოებიდამ 540 მ. ცხენების საბალახეთ? ᲕᲘᲡ ჯიბეში დარჩა ეს ფული?

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, როდესაც Ლ—ძე დაბრუნდა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ და ეს ბოროტ-მოქმედება გაიგეს ᲐᲮᲐᲢᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ, მას მოსთხოვეს ფული უკანვე, მაგრამ Ლ—ძემ ყურადღებაც არ მიაქცია. ᲮᲐᲚᲮᲛᲐ რომ ვერა გააწყო-რა ტკბილის სიტყვით, ადგა და იჩივლა იმათმა მამასახლისმა რაპორტით 20 ივნისს 1878 წ. მე № 41-ით ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის უფროსთან თ. Მ. Ლ—ძეზედ. ᲔᲐ საქმე გაათავა იმით, რომ ᲐᲮᲐᲢᲔᲚᲔᲑᲡ დაუბრუნდათ მხოლოთ თოთხმეტი თუმანი ფული, ხოლო დანარჩენი ორმოცი თუმანი როგორც შენ მიგიღია, მკითხველო, ისე ᲐᲮᲘᲢᲚᲔᲚᲔᲑᲡᲐ.

2). ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ მოქმედება ხსენებულის Ლ—ძისაგან მოხდა კიდევ შემდეგშიაც:

1878 წ. 30 მაისს მოწერილობისა გამო ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნატორისა, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის უფროსმა უბრძანა თ. Ლ—ძეს კიდევ მოეკრიფა ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ სამაზრო სოფლებიდამ 80 ცხენი, და ამ ცხენებისათვის გზაზედ საბალახე ფულად ცხენზედ თითო თუმანი, რომელიც სრულებით იზამს 800 მანეთს. Ლ—ძემ მიიღო ჯეროვნული და სასტიკი ღონისძიება და საჩქაროთ შეასრულა ეს დაავალებული მაზრის უფროსისაგან ბრძანება. შემდეგ ხელმეორედ გაემგზავრა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ და ამ მეორე მგზავრობაშიაც, როგორც გამოცდილმა წინაძღოლობაში და ფულის ყაირათობაში, ისე ჩარეკა ცხენები ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ, რომ კაპეიკი არ დახარჯვია არც საბალახეთ და არც სხვა რაშიმე.

ᲩᲐᲑᲐᲠᲐ ცხენები ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ თუ არა ვისაც ჯერი იყო, Ლ—ძემ გამოსწია მაშინვე ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ.

ᲗᲣ გზაში არაფერი დახარჯა Ლ—ძემ საბალახე ფული, იტყვის მკითხველი, მაშ რა იქნა ის ოთხმოცი თუმანი ფული, რომელიც ჩაიბარა მან ხალხისგან? ᲐᲮ ფულს დაადგა ის ბედი და მიიქცია იმ ჯიბის ასავსებად, რომელი ჯიბის ასავსებათაც მოიქცა პირველ მგზავრობის დროს აღებული საბალახე ფული...

3). ᲬᲐᲡᲠᲣᲚᲡ მაისის თვეში 1878 წ., მოწერილობისა გამო უ. ღუბერნატორისა, ᲗᲔᲚᲐᲕᲖᲔ და მის სამაზრო სოფლებზედ იყო შეწერილი ორმოც-და-ათი ურემი გასაგზავნად ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ. ᲔᲡ ორმოც-და-ათი ურემი მოიკრიფა მხოლოდ სოფლის ხალხისაგანა, რომელთაც თითო ურმის წესიერათ მომზადებისათვის დაეხარჯათ ორმოცი თუმანი ფული; ხოლო ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მოვაჭრენი კი სრულებით განთავისუფლდნენ ამ ურმის ბეგრისაგან.

4). 1878 წ. 30 მაისს ურიადნიკმა თ. Ზ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ბძანებისა გამო მაზრის უფროსისა, მოკრიფა 50 ურემი ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის სოფლებში, გასაგზავნად კიდევ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ; თითო ურემზედ სოფლის ხალხს მიაცემინეს თითო თუმანი საგზაო საბალახე ფულათ. საქმის შესრულების დროს ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ წინამძღოლობით წაიყვანეს ეს ურმები ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ, და რადგანაც დიდი სავლელი გზა ჰქონდათ და ეშინოდათ, რომ საქონელი ფეხით არ მოცვეთილიყო, უნდა დაეჭედათ ნალითა; ამ მიზეზით მეურმეებმა მოკრიფეს სამ-სამი მანეთი, სრულებით 150 მანეთი ჩაბარეს ურადნიკს ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ, რომელმაც ამ ფულით დააჭედინა საგზაო საქონელი, და ასეთის მოხერხებით ატარა ეს ურმები, რომ არც შეწუხებულან და არც გროში დაუხარჯვინებია საბალახეში მათთვის, და დანარჩენი ფული თხუთმეტი თუმნიდამ გაანაწილა სწორ-სწორედ და დაურიგა მეურმეებს, რომელზედაც დარჩნენ დიდი მადლობელნი.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ეს ხსენებული ურიადნიკი ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ მოიქცა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲗ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ, უ. მაზრის უფროსმა მოსთხოვა თ. Ლ—ძეს და ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ანგარიში მასზედა, თუ რაზედ ახმარეს ის საბალახე ფული, რომელიც მისცა მათ ხალხმა. Თ. Ლ—ძემ აცნობა რაპორტით მაზრის უფროსს, რომ მან დახარჯა სრულებით საბალახო ფული სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის; ხოლო ჩაფრების ურიადნიკმა-პრაპორშჩიკმა თ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ აცნობა რაპორტით მაზრის უფროსს, რომ მას საბალახე ფული სრულებით არა დაუხარჯავს-რა, და ამისთვისა ეს ხეენებული საბალახე ფული დარჩა სასარგებლოდ მეურმეებისა. ᲛᲐᲖᲠᲘᲡ უფროსმა, ნაცვლად იმისა რომ მადლობა გადუხადოს ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ თავის თანამდებობის სინიდისიანად შესრულებისათვის, უბძანა მას: „რატომ შენც არ დახარჯე საბალახე ფული როგორც თ. Ლ—ძემა?“.

5). ᲨᲔᲛᲓᲔᲒ რამდენსამე დროს განმავლობისა, მაზრის უფროსი უბძანებს თ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ, რომ მან უნდა რვა დღის განმავალობაში შეკრიფოს ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის სოფლებში 26 ურემი და ოც-და-ათი ცხენი, წაიყვანოს და ჩააბაროს ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ კარგათ იცოდა, როგორც გამოცდილმა ამ საქმეში, რომ ამ ვადაზედ ვერ შეასრულებს მაზრის უფროსისგან მინდობილს საქმეს, და ამით მხოლოდ მიზეზს ეძებს იგი, რომ სამსახურიდამ დაითხოვოს, მისცა თვით ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ქალალდი და დაეთხოვა სამსახურიდამ. ᲛᲐᲖᲠᲘᲡ უფროსმა მის მაგიერად მაშინვე დანიშნა ურადნიკათ ერთი დიდი ხნის გამოცდილი. ᲔᲡ საჩქარო და საჭირო საქმე, ცხენების და ურმების მოკრეფა სოფლებზედ ჩააბარა თ. Ლ—ძეს და სამართველოს ჩინოვნიკს ᲕᲐᲩᲜᲐᲫეს, რო-

მლებმაც უნდა ეს საქმე შეასრულონ ოცი დღის განმავალობაში. . . .

ქახელი

წერილი რედაქტორთან

მე ვსთხოვე ქალაქ სიღნაღის არხიტექტორს უფალს პოსტნიკოვს, მოეცა ჩემთვის პლანი ახალი დუქნისა, სადაც გახლავთ სხვა დუქნებიც აშენებულები. რასაკვირველია, უფ. პოსტნიკოვმა მომცა პლანი, რომელსაც ძვართვი ორი ოქრო პლანის აღებისათვის, და ამასთანავე ვსთხოვე, წარედგინა პლანი უმაღლეს მთავრობისათვის დასამტკიცებლათ.

დუქნის შენობის დროს, უფ. პოსტნიკოვი თავს ადგა დუქნის მკეთებლებს.

შემდგომად აშენებისა სრულიად დუქნის, იმ დროს როდესაც ზემოთ უნდა დამეხურნა, უფ. პოსტნიკოვმა უმიზეზოთ დამიწყო ცილის-წამება, ვითომც დუქანი პლანზედ არ იყოს გაკეთებული, და თანაც მდაბლის ხმით მიბრძანა, რომ ორს თავს ბროკის შაქარს თუ მომცემ, დაგანებებ თავსა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ვაცნობო პოლიციას, და შენი შენობა დავაყენო და შტრაფიც წავართმევინოვო.

მე ვსთხოვე, ერთ თავს შაქარს მოგართმევთ, ორისა არ შემძლიან-მეთქი.

უფ. პოსტნიკოვს არ მოეწონა ჩემი თხოვნა, და ეცნობინებინა პოლიციისთვის. პოლიციასაც გარდაეცა ქალაქის მოსამართლესთან საქმის საწარმოებელად. უფ. ქალაქის მოსამართლემ დამიბარა სასამართლოში და მიბრძანა, რომ შენ უ. პოსტნიკოვის მოცემულ პლანზედ არ აგიშენებია დუქანი, ამისათვის გარდაგხდება ჯარიმა და შენობა დადგება შენიო.

მე ვსთხოვე უფალს ქალაქის მოსამართლეს წამობძანებულიყო და ენახა—რა იყო უპლანოთ გაკეთებული. მოსამართლეც წამობრძანდა და თავის თვალით დარწმუნდა, რომ შენობა სრულიად და ბეჯითად პლანზედ იყო აშენებული.

ამის გამო მოსამართლემ გაუქმა საჩივარი უფ. პოსტნიკოვისა, რომელმანც ამნაირად დაკარგა ერთი თავი შაქარი.

ამისთანა საქმეებს ხშირათ ჩადის ხოლმე ჩვენი ქალაქის არხიტექტორი უფ. პოსტნიკოვი.

სიღნაღის მოქალაქე მელქო შლამოვი

სიღნაღი, 22 ივლისს

ომის შემდეგ

ოსმალეთი

ადრიანოპოლელი კორრესპონდენტი გაზ. „ტაიმისა“ იწერება, რომ ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილება ძალიან არ მოეწონა სამხრეთ ბულგარიის (აღმოსავლეთ რუმელიის) ხალხსაო. ახლაევე შესდგა აქ საიდუმლო საზოგადოება, რომელიც რუსეთის საშუალებით აპირებს შემდეგში მიაღწიოს იმას, რომ ეს ორი განაწილებული ბოლგარიები ერთმანეთს შეუერთონ.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის მმართებლობას რამოდენიმე აფიცარი გამოუგზავნია რუსეთისაკენ თავის ტყვეების ჩასაბარებელად. რამდენიმე აფიცერი გაუგზავნიათ აგრეთვე ქიპრის კუნძულზე, საიდამაც უნდა წაიღონ რაც იქ ოსმალეთის ხაზინას თოფ-იარაღი, ტყვია-წამალი და საზოგადოთ რაც სახაზინო რამ არისო.

— გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 17 ივლისს არზრუმიდამ მიღებული:

„ახლად-მოსული სტამბოლის გაზეთებიდამ შეიტყეს აქაურ სომხებმა ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილება; ცხადათ სჩანს, რომ ინგლისს არათუ არ უშუამდგომლებია სომხების სასარგებლოდ, არამედ იმის მეცადინეობა ის ყოფილა, რომ თვით სომხეთის სახელიც კი არ ეხსენებინათ.

„ამ გარემოებისაგან ძალიან გაჯავრებული არიან აქაური სომხები ინგლისზედ; ამის გამო სომხებმა ახლა რუსეთს მომართეს; რუსეთისაგან მოელიან ესენი თავის შველასა და თავის მდგომარეობისმ გაუმჯობესებას.

„ხალხი ძალიან აღელვებულია; სომხები ყველაფრისთვის მზათ არიან.“

— ორმოც-და-ათი დაიარაღებული კაცი შეპარულა ამას წინათ ვარსკვლავთ ქიოსკის სასახლეში, რომელშიაც „გადაყენებული ხონთქარი მურადი არის ამ ჟამად დამწვვდეული, იმ განზრახვით, რომ ეს ხონთქარი გაენთავისუფლებინათ. მაგრამ ეს გარემოება მალე შეუტყვიათ ყარაულებს და ყველა შეპარულები დაუჭირავთ. ამ ამბავს ძალიან აუღელვებია ხონთქარი აბდულ ზამიდი, რომელსაც ბრძანება გამოუცია, რომ მურადის სასახლეს ყარაულები მიუმატონ და სასტიკად უკდონ ყურიო, რომ არსად გაიქცეს ან არავინ გააპაროსო.

ავსტრია

ვენის გაზეთებში სარაევიდამ იწერებიან, რომ ამ ქალაქში ამ ჟამად საშინელი არეულება არისო. აჯანყებულ ხალხსა და ჯარს შუა შეტაკება მომხდარა, ხალხს აუღია ციხე, მოუტაცნიათ იქიდამ თოფ-იარაღი, ტყვია-წამალი და დაიარაღებულან. სარაევის ღუბერნატორი და კომენდანტი ვაქცეულან ქალაქიდამ, მაგრამ ხალხს დაუჭირავთ ისინი და ისევ მიუყვანიათ. აჯანყებულების ბოთაევედ არის თურმე ჰაჯი-ლოია.

— ავსტრიის სტამბოლელ ელჩს გრაფ ზიჩის გამოუცხადებია ოსმალეთის მმართებლობისათვის, რომ არავითარი კონვენციის შეკვრა ავსტრიას ოსმალეთთან არ შეუძლიანო, ის მხოლოთ ეცდებაო, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის სამზღვარზე წესიერება და მშვიდობიანობა დაიცვასო.

იტალიაში იმ ჟამად ხალხის ძლიერი ღელვაა იმის თაობაზედ, რომ იტალიას შეუერთონ ის ქვეყნები, რომელნიც ერთ დროს იმას ეკუთვნოდნენ. იტალიელებით არიან დასახლებულნი და ახლა კი ავსტრიას და სხვა სახელმწიფოებს ეკუთვნის.

ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსიფს უთქვამს ამ იტალიის მოძრაობის შესახებ, რომ „სანამ მე ცოცხალი ვარ, ჩემს სახელმწიფოს ერთ ნაჭერს მიწასაც არ მოვაკლებო.“

რუსეთი

მთელს ევროპის ოსმალეთში, (ე. ი. რუმელიაში, სტამბოლის მახლობლად და სხვაგან) რუსეთს ჰყავს ამ ჟამად სულ 300,000 კაცამდინ ჯარი; ამ რიცხვის ნიხევარზე მომატებული (180,000) მარტო რუმელიაში.

საბერძნეთი

გაზ. „ათინის მოამბის“ სიტყვით, საბერძნეთის მმართებლობამ გაუგზავნა ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს ნოტა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ თესსალიაში და ეპირში ოსმალოს ჯარებმა სულ გადასწვეს ნამუშევარი, ხალხი ამოჟლიტესო და ბევრი სხვა ბარბაროსობა ჩაიდინესო. თუ ევროპის სახელმწიფოებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ გარემოებას და არ შეაჩერეს ოსმალები, უეჭველია, რომ ისინი მთელს თესსალიასა და ეპირს სრულიად აოხრებენო.

განცხადება

კავკასიის საგმბიო ინსტიტუტისაგან

ვისაც ამ ინსტიტუტში შესვლა ჰაურს ბებიობის სწავლისათვის, თხოვნა უნდა მისცეს კავკასიის საძოქალაქო საექიმო უწყების გამგებელს (სპიორის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკაშვილის სახლებში).

ინსტიტუტში კურს გათავებულებს ეძლევათ ქალაქის და უეზდის ბებიობის დიპლომი და იმათ სახელმწიფო სამსახურში მიიღებენ.

ინსტიტუტის უმაღლესს განყოფილებაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: რუსული ენიდამ: მართლ-წერა და კითხვა, სიტყვიერად ლაქმა და დაწერა წაკითხულისა; არითმეტიკიდან: პირველი ოთხი არითმეტიული მოქმედება, სახელობითი რიცხვნი და სრულის ნაწილები (დროებები). ვინც ინსტიტუტის ძველად განყოფილებაში შედის, იმას მოეთხოვება მარტო რუსული წერა-კითხვის ცოდნა და სიტყვიერად ახსნა წაკითხულისა. ამ განყოფილებაში კურს-შესრულებულთ ეძლევათ სოფლის ბებიობის დიპლომი (მოწმობა).

ინსტიტუტში შესასვლელი ქალი 16 (თექვსმეტის) წლის ნაკლების არ უნდა იყოს და 30 (ოც-და-ათზე) უხნესი.

თხოვნასთან უნდა იქნეს წარდგენილი: მეტრიკული მოწმობა დაბადებაზედ,

მონათელისა და ამას გარდა დედ-მამის ნებართვა ან ქმრისა, თუ ქმრიანია, რომ ისინი დაბრკოლებას არ აძლევენ ინსტიტუტში შესვლისათვის.

სწავლის ფასი: მომსვლელ შაგირდებისათვის წელიწადში 40 (ორმოცი) მანეთი, პანსიონერკებისა, რომელნიც ინსტიტუტის სრულს ხარჯზე იქნებიან, 200 (ორასი) მანეთი წელიწადში და ამას გარდა შესვლისათანავე ჩაცმადახურვისათვის კიდევ 60 (სამოცი) მან.

სწავლის ფასი მთელის წლისა წლის დამდეგს უნდა იქნეს შეტანილი.

სწავლა ორ წელიწადს გრძელდება; პირველ კურსში ასწავლიან: ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბებიობას, წამლების გამოცნობას და დამზადებას და დაჭრილების მოვლას. მეორე კურსში: ბებიობას, ქალის, ყმაწვილისა და სიფილისის ავათმყოფობის ექიმობას, გიგიენას და ყვავილის აცრას.

მგზამენები ინსტიტუტში მისაღებ ქალებისათვის დანიშნულია 22 აგვისტოს.

(3—3)

ისყიდება ფუ. ჩარკვიანის, ზრიქუროვის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში

„დავა“

ანუ

ტოჩკა და ზაკეტაია

კომედია ხუთ მოქმედებად

თ. ვიოლინი ერისთავისა

ფასი ექვსი შაური

(5—1)

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალავინის პროსპექტზე, **ისყიდება** რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი **„ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). **თითო** წიგნის **ფასი თხუთმეტი შაურია**, გაგზავნით ოთხი აბაზი.

(3—1)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება „პატარა ბიბლიოთეკა“, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. ბოგიბაშვილის რედაქციით.

ფასი ორი შაურია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რეა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

(10—1)

ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში.

ა). **ყმაწვილები მიიღებიან 25 აგვისტოდამ დაწყებული 15-ს სექტემბრამდის.** ვინც დაიგვიანებს, უნდა გამოიცადოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გაელილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

ბ). **სწავლების ქირა** მოსიარულე ყმაწვილს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 50 მანეთი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

პანსიონერს პირველი კლასისას გადახდება 250 მანეთი და მეორისას 260 მანეთი. **პანსიონერს** უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშსაგებ- ზედსახურავი, კრავატი და სასწავლო ნივთები.

გ). **პანსიონში** მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ჰსწავლობენ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. **სხვა** სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

დ). **როგორც** ქრისტეს შობის და აღდგომის დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილნი იქმნებიან; **პანსიონერები** საზაფხულოთ არ დაიტოვებიან **პანსიონში**.

ე). **ზემოაღნიშნული** ქირიდამ **არ** გამოირიცხება ფული მისთვის, **რომ** ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიან. **არც** იმისთვის გამოირიცხება ფული, **რომ** ყმაწვილი ავათმყოფობის **გამო** ანუ სხვა მიზეზისა **გამო** კლასს დააკლდეს.

სწავლების ქირა უნდა იქნეს შემოტანილი ნახევარ წლობით წინდაწინ: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სექტემბერში, **და** მეორე ნახევარი—**იანვარში**.

(5—2)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ვეირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია.	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ვეირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	ბ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, **რუსეთს**—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ:** **თფილისისა** და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბაზარი

	მან	კაპ
თფილისი, 26 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	65
ფქვილი წითელი. . .	1	40
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი . .	7	60
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	—
—მარაბამისა ფუთ. .	4	20
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	—
ქონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გოგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათ მყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10 მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ., ქიუჩარიანც—თვალისა და ხირურგიულ.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი ვენერიულისა და კანის ა. ბახუტოვი—საბ.ბილ და ბავშვის პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების. ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და სამშილოჩნო ორგანების, ა. ბახუტოვი—ქალისა და ნერვების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ბაქსტი—გულისა და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюля 1878 г. Типографія Меликова. **ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.**